2-ой гильд. куп. Веро гр.
Пурцхванидзе




# ივერია

გაზეთი ღირს

| თუე | მან. კ. | თუე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**კნეინა ბარბარე აბაშიძისა, წულუკიძის ასული, და თავადნი ივანე, პლატონი, ნიკოლოზი და ანდრია ქაიხოსროს ძენი აბაშიძენი** უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა და დანარჩენნი—მამისა მათისას, **თავადის ქაიხოსრო გიორგის ძის აბაშიძისას**, უმორჩილესად სთხოვენ ნათესავებსა და ნაცნობებს მობრძანდნენ დროსა მიცვალებულის განსვენებისასა, მაისის 28, ხუთშაბათს, დილის 10 საათზედ, მის საკუთარს სახლში, სოფელ ლაშეს (შორაპნის მაზრაში).

---

კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში საზოგადო კრება

საურთიერთო დამხმარებელ

**ამხანაგობისა.**

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის" კანტორის მოქმედებისა;

2) ამხანაგობის ახალ წევრთა არჩევანი, და 3) მორიგ საქმეთა განხილვა.

(5—2)

---

ქართული საზაფხულო თეატრი

**„ჩ ა ნ ბ ი"**

(მუშტაიდის გვერდით)

ხუთშაბათს, 28 მაისს,

ბენეფისი ა. ქ. ნებიერიძისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან ბ-ნ ვ. ა. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

**ა რ ს ე ნ ა**

პირველი მოქმედება ა. ყაზბეგის დრამიდამ

II

**ი ჟ ვ ი ა ნ ი**

ვოდ. 1 მოქმ. რ. ერისთავისა

III

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

დრამატ. ეტიუდი 1 მოქმედებად.

IV

მონაწილეობას მიიღებს მოსკოველი მომღერლების და მოცეკვეთა დასი

ი. ა. ალექსანდროვისა.

ანტრაქტებში დაუკრავს ქართული ხორო გურულების ამხანაგობისა

ლ. ქეშელავას ლოტბარობით.

წარმოდგენის გათავებამდე ცხენის რკინის გზის მატარებლები დაიცდიან და თეატრში დამსწრეთ წაიყვანენ: რიყემდე, თამამშოვის ქარვასლასა და ვერამდე.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე **ა. ვ. ნებიერიძე**

---

31 მაისს, კვირას,

დილის 11 საათზედ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

ი ქ ნ ე ბ ა

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—4)

---

## ახალი ამბავი

*** 25 მაისს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება რომ გათავდა, ვიცე-პრეზიდენტმა ბ-ნმა ბახმეტევმა გამოაცხადა, რომ მოუცლელობის გამო იძულებული ვარ დავანებო თავი ვიცე-პრეზიდენტობასაო. თუმცა წევრთ ბევრი სთხოვეს ბ-ნს ბახმეტევს დარჩენა, მაგრამ მან არ ინება. მაშასადამე, შემდეგს ჩვეულებრივს კრებას საზოგადოებისას ასარჩევი ეყოლება ახალი ვიცე-პრეზიდენტი და საბალოსნო სკოლის მზრუნველი.

*** რადგან 17 მაისს დანიშნული კრება „საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობისა", რომელსაც აზრად აქვს აშენოს ტფილისში სახლები თავის წევრთათვის, არ შესდგა, ამიტომ იგი კრება დანიშნულია კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

*** კავკასიის უმთავრესს ქედზედ რკინის გზის გასაყვანად მთავრობამ შემდეგი გზა აირჩია: ავჭალიდგან წავა საქართველოს სამხედრო გზაზედ, გაივლის ფშავეთისა და ხევსურეთის არაგვის ხეობას და შემდეგ კავკავს შეუერთდება. გვირაბის გათხრა ორს ალაგს დასჭირდება: არხოტის მთასთან 11 ვერსზედ და კავკასიის უმთავრეს ქედთან 7 ვერსზედ. გზა სიგრძით 154 ვერსი იქნება.

*** იმპერატრიცა მარიამის სახელობაზედ დაარსებულმა უსინათლოთათვის სამზრუნველო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გაჰგზავნა მასწავლებელი-ქალი ნ. ა. ბოგაევსკაია პეტერბურგში, სადაც იგი 1893 წლის იანვრამდე დარჩება, მანამდე კარგად შეისწავლის უსინათლოთათვის წერა-კითხვის სწავლების წესს და შემდეგ ტფილისში დაბრუნდება, სადაც აპირობენ უსინათლოთათვის სკოლის დაარსებას.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ქიურდამირის კანტორის გამგემ გამოუცხადა მთავრობას, კასსიდგან 258 მანათი ფული მომპარესო. ქურდს შერჩეულის გასაღებით გაუღია კასსა. გამოძიება სწარმოებს. დამნაშავეს დაეძებენ, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებისამებრ უკვე დაიწყეს მუშაობა კავკასიის ვაკე ადგილებში სარწყავ წყლის არხების გასაყვანად.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ 500 მანათი გადასდო ახალციხის საქალაქო სასწავლებლისათვის, რომ ამ ფულით ყმაწვილებს ასწავლოს მებაღეობა, მებოსტნეობა და სხვ.

*** წევრი ბუნების-მეტყველებისა, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საიმპერატორო საზოგადოებისა, ა. ს—ძე ხახანაშვილი, „საზოგადოების" საბჭოს მინდობილობისამებრ ამ ზაფხულს ტფილისის გუბერნიაში საგეოგრაფიო და საეთნოგრაფიო გამოკვლევას მოახდენს.

*** კვირას, 24 ამ თთვისას, საზოგადო კრება მოხდა „ქალაქ ტფილისის სასწავლებელთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა". კრებამ დაამტკიცა ანგარიში 1890—1891 წლისა და შემდეგ არჩეულ იქმნენ: ვიცე-თავმჯდომარედ საზოგადოების გამგე კომიტეტისა დ. ზ—ძე სარაჯიშვილი და წევრებად კომიტეტისა ა. ს—ძე ლუ-ლაძე და გ. ს—ძე ვარძელოვი.

*** კავკასიის სამკურნალო საქმის გამგეობას განზრახვა აქვს ერთ-ერთს ადგილს გორის მაზრაში, სადაც უფრო სახერხო იქნება, თავშესაფარი გამართოს ჭკვათა არ-მყოფთათვის. ჯერ-ჯერობით ორი ალაგი აქვთ მხედველობაში თავ-შესაფარის გასამართავად: ახალდაბა, ბორჯომის ხეობაში, და ჩუმათელეთი, სურამის მახლობლად.

*** ყარაიაზიდგან გვწერენ: კალიის გასაწყვეტად მოყვანილმა მუშებმა, სხვა სოფლის მცხოვრებლებმა, სულ 125 კაცმა, მუშაობას თავი დაანებეს და გაიქცნენო.

*** ალსტაფასა და ყარაიაზში კალიის გასაწყვეტად იმდენი მუშაა მიყვანილი, რომ მათთვის ტფილისიდგან ყოველ დღე ას ოც-და-ათი ფუთი გამომცხვარი პური იგზავნება.

*** ერთს რუსულს გაზეთში სწერია, პეტერბურგში აარსებენ ამხანაგობას კავკასიაში ჩაის პლანტაციების გასამართავადაო. ამ საქმის დასაწყებად ამხანაგობა ჩინეთიდგან და-

---

# ფელეტონი

**მეფე სვიმონ I**

1557—1600

VII

(დასასრული. იხ. „ივერია", № 107)

1598 წ. სვიმონ მეფემ გადაწყვიტა გორის ციხის აღება და გარს შემოადგა ჯარით. ოსმალები ძალიან გამაგრებულები იყვნენ და არ ჰნებდებოდნენ. ხოლო ცხრა თთვის შემდეგ აიღო სვიმონმა ციხე და ამოწყვიტა შიგ მყოფი ოსმალეთის მეციხოვნეები. იოანე ძარელი მოგვითხრობს, რომ სვიმონ მეფემ ციხის კედლები დაანგრევინა, ქვები ოსმალებს ზურგით მტკვრის პირას ჩაატანინა და წყალში გადააყრევინაო. ამას შემდეგ ოსმალები დაახოცინა და მათი ცოლ-შვილი ქართველებს დაურიგაო [32]) (1599 წ.).

მოჰამედ ხონთქარმა ამ ამბის შეტყობაზედ უბრძანა ამირ-სპასალარს ვეზირს ჯაფარ-ფაშას, რომელიც ჯარით თავრიზში იდგა, რომ გაელაშქრა ქართლს სვიმონ მეფის წინააღმდეგ. ჯაფარ-ფაშამ ბრძანება გასცა, რომ გზები ეკეთებინათ და შეემზადებინათ სურსათი და ცხენების საკვები. შეყარა 20,000 კაცი ოსმალი და სომეხი, აღჭურვილი წერაქვებით, ბარებით, ნიჩბებით, ცულებით, ხერხებით დ სხვა იარაღით, რომელიც საჭიროა გზების საკეთებლად და შენობათა დასაქცევად. ამ ნაირის თადარიგით წამოვიდა ქართლს ჯაფარ-ფაშა, რადგან შიში ჰქონდა სვიმონ მეფისა, რომლის სიმამაცე და მოხერხებულობა მრავალჯერ ჰქონდა გამოცდილი და რომლისაგანაც ხშირად უკუქცეულიყო სირცხვილეული [33]).

სვიმონ მეფემ თავის მხრით ოსმალების დასახვედრად შეჰყარა ჯარი და დაბანაკდა სალირამენს. ოსმალები დადგნენ ნახიდურში. სამი დღე უცდიდნენ მოწინააღმდეგენი ერთი მეორეს საომრად აშლას [34]). ბოლოს სვიმონმა გადაწყვიტა ომის დაწყება. ოსმალების ბანაკის დასათვალიერებლად სვიმონმა წაიყვანა ათი ცხენოსანი ერთის მექანარით და მივიდა ნახიდურის თავს. აქ, მტრის ბანაკს რომ გადახედა, მოინდომა საკუთარის თვალით ენახა, რა ნაირად იყვნენ ოსმალები მომზადებულნი მტრის დასახვედრად. ამ აზრით უბრძანა მექანარეს ბუკი დაეყვირებინა. ბუკის ყვირილზედ ოსმალებს ეგონათ ქართველები დაგვესხნენო. შეშინებულებმა აღჭურვა და ამხედრება იწყეს. სვიმონ მეფემ მაშინვე გამოსწია თავის ბანაკისკენ. გზაში შეხვდნენ ოსმალნი, რომელთაც ერთის დატყვევებულის ქართველის შემწეობით შეიტყეს მისი ვინაობა. იმათ შიშით ვერ გაბედეს მასთან შებმა და შეატყობინეს ჯაფარ-ფაშას, რომელმაც მეფეს მდევარი გამოუყენა [35]). სვიმონს ადვილად შეეძლო გაჰქცეოდა ოსმალებს, რომ ერთი უბედური შემთხვევა არ დამართოდა. ფარცხისის ბოლოს ცხენი ლიაში ჩაუვარდა. სვიმონ ფეხზედ დადგა და სცდილობდა ცხენის გამოყვანას. ამ დროს ოსმალები გარს შემოეხვივნენ. მეფემ მისეულის ოსმალების მოსაგერებლად იარაღს მოჰკიდა ხელი, მაგრამ რას გააწყობდა, ტყვედ დაიჭირეს. ბანაკში რომ მიიყვანეს, ჯაფარ-ფაშა სვიმონს წინ მიეგება თავი დაუკრა, ხოლო მის დატყვევების ამბავი მაშინვე ხონთქარს მისწერა.

ქართველებმა რომ სვიმონ მეფის დატყვევება შეიტყეს, ძალიან შეწუხდნენ. იქვე მყოფმა მეფის ძემ გიორგიმ მიიღო ჯარის უფროსობა და გამოედევნა ოსმალებს, რომლებიც ლორისკენ წავიდნენ. იმათ მოასწრეს ციხის აღება და შიგ შესვლა. ჯაფარ-ფაშამ ლორის ციხეში დასტოვა მეციხოვნეები და თითონ წავიდა თავრიზს.

რამდენად სასიხარულო იყო ხონთქრისთვის სვიმონის დატყვევება, იქითგან სჩანს, რომ ამ შემთხვევის გამო მან გასცა ბრძანება მის სახელმწიფოს ყველა ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამის დღის განმავლობაში ეუქმათ და ემხიარულათ. ხოლო ჯაფარ-ფაშას მიუწერა ბრძანება, რომ სვიმონი სტამბოლს გაესტუმრებინა. 1600 წლის ზამთარი და გაზაფხული სვიმონ მეფემ თავრიზში გაატარა. მხოლოდ ზაფხულში გაისტუმრეს სტამბოლს, მაგრამ ოსმალებმა გზაში რამდენსამე ხანს გააჩერეს სვიმონი აზრუმში იმ შიშით, რომ არ ჩავარდნოდა ხელში მთავრობის წინააღმდეგ გამდგარს მოხელეს „იაზიჩს", რომელსაც არზრუმის ახლო-მახლო მაზრები ეჭირა და გაეცა ბრძანება თავის მომხრეებში, სვიმონი როგორმე განათავისუფლეთ და ჩემთან მოიყვანეთო [36]). სვიმონი რომ სტამბოლს მიიყვანეს, ხონთქარმა უბრძანა, რომ თუ დამემორჩილები და ხარჯის ძლევას აღმითქვამ, ქართლში გაგისტუმრებო. სვიმონმა დამორჩილებისა და ხარჯის ძლევის უარი განუცხადა. ამის შემდეგ შვიდკოშკიანს ციხეში დააპატიმრეს [37]). ქართლში გამეფდა სვიმონის ძე გიორგი X (1600 წ.).

—

ამ ნაირად სვიმონის მეფობამ გაიარა დაუცხრომელს ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ, საუბედუროდ, მის თავ-განწირულს ბრძოლას არ ჰქონდა შესაფერი ნაყოფი და ქართლი ისეთივე დამოკიდებული დარჩა სვიმონის შემდეგ, რო-

[32]) *Jean de Dzara (Hist. de la Géorgie, p. 455).*

[33]) *Ibidem, p. 455—456.*

[34]) *Ibidem p. 456.*

[35]) *Ibidem.*

იბარებს მცოდნე ოსტატს ჩაის ხეების გაშენებისას. ამხანაგობა პირველადვე დიდს პლანტაციებს გამართავს. ორი ცნობილი ჩაით მოვაჭრე მონაწილეობას იღებს ამ ამხანაგობაში.

*** ტყიბულა: მეაქციეთა ქვის ნახშირის მადანში 19 მაისს ორი მუშა, გვარად ცირეკიძე და ქასრაშვილი, ძლიერ დაშავდა ქვის ტეხის დროს ლაღუმის უეცრად აფეთქების გამო. ქასრაშვილს ორივე თვალი აქვს დაშავებული, ხოლო ცირეკიძეს შუბლი აქვს გატეხილი და მისი მორჩენა ძლიერ საეჭვოა. ასეთი ამბავი აქ იშვიათი არ არის და საკვირველია ღმერთმანი, რად არა ზრუნავს მეაქციეთა საზოგადოება, რომ მადანში, სადაც სამასამდე მუშა იმყოფება, გაჰმართოს საავადმყოფო და იყოლიოს, ექიმი თუ არა, ფერშალი მაინც, რომ დაშავებულთ დროზე ეწამლოს რამე, თორემ სინამ ავადმყოფს აქედგან ქუთაისში წაიყვანენ, ასჯერ განუტევებს სულს გზაში.

*** საგარეჯო: სასიამოვნო ამბავი უნდა მოგწეროთ. ჩვენს სოფელსა და მულანლოს სოფლებს შორის გაუთავებელი ჩხუბი და უსიამოვნობა იყო სახნავ-სათეს და საიალაღო მინდვრების გამო. მულანლომ ნელ-ნელა დაიჩემა საგარეჯოს მინდვრები და ჰხნავდა და სთესავდა, შიგ, აძოვებდა საქონელსა და სთიბავდა. მულონლო ხშირად ძალასაც ჰხმარობდა და ამ გვარის ძალმომრეობით აშინებდა მშვიდობის მოყვარე უიარაღო ქართველ ხალხს. ხშირი იყო აგრეთვე მულანლოელ თათრებისაგან ჩვენებურ მწყემსების დარბევა, საქონლის გატაცება და კაცის ჩეხა-კვლაც-კი. ყოველმა ღონემ, რომელიც-კი სოფელმა იხმარა, ამაოდ ჩაიარა. ვერც ჩივილმა, ვერც ხვეწნა-მუდარამ იქ, საცა ჯერ იყო, ვერ გასჭრა და ვერა გვიშველა-რა. ერთ-ხანად მულანლოელ თათრების ძალით გადასახლების აზრიც-კი დაიბადა მთავრობის წარმომადგენელთ შორის, მაგრამ ამ საქმის შესრულება ვერ მოხერხდა. დღეს სრულიად ეშველა ამ სადავიდარაბო საქმეს. ამას იქით, იმედია, საჩხუბარი აღარა დარჩა-რა მულანლოსა და საგარეჯოს შორის. ტფილისის მაზრისა და სიღნაღის მაზრის უფროსის განკარგულებით, გავლებულ იქმნა მიჯნა საზღვრად მულანლოსა და საგარეჯოს მინდვრებ შორის. ამ მიჯნის დასაცველად ორისავე მაზრის საერო ხარჯით დაყენებულია დარაჯთა კრებული, რომელიც მოვალეა ყური უგდოს, რომ არავის უფლება არ დაირღვეს. დარაჯთა კრებული მუდამ ამ მიჯნის ხელ-შეუხებლობის მცველი უნდა იყოს და თანაც მოვალეობაც უნდა შეასრულოს, რომ ვიდრე სოფელი საგარეჯო არ ჩაიბარებს კუთვნილს ლალას მინდვრის მოხვნისა და სარგებლობისათვის, დარაჯთა კრებულმა ჭირნახული არავის არ უნდა დაანებოს მინდვრიდგან.

*** 26 მაისს შუადღისას ტფილისის მცხოვრებლის ქვრივმა ნინო მერაბის ასულმა პოლიციაში წარადგინა მოწმობა მკურნალის ფუღინოვისა, რომ ნემეცების სასაფლაოსთან 25 მაისს ტვინის შენჯღრევით ჩემი ქმარი მიხეილ ჩიკაძე გარდაიცვალაო. ეს საქმე გამოიძიეს და აღმოჩნდა, რომ ამ ქალის ქმარი 23 მაისს სამუშაოდგან დაბრუნებულა, სახლის აივანზედ ვახშამი უჭამია, იქიდგან უეცრად გადმოვარდნილა და ქვაზედ თავი დაურტყამს. ორი დღე უცოცხლია და შემდეგ გარდაცვლილა.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

17 მაისი

კრება დაიწყო $11^1/_2$ საათზედ. ეს კრებაც ისევ იმ საგანს მოანდომეს, რომ მიეცეს შეღავათი რაისამე უბედურებით დაზარალებულ მსესხებლებსაო. როგორც ვუწყით, განსაკუთრებული კომისია იყო არჩეული, რომელსაც მიენდო ამ საგნის გადაწყვეტა. დ. ა. გურამიშვილმა წაიკითხა კომისიის კრების ოქმი, რომლიდგანაც აღმოჩნდა, რომ კრების უმეტესობა მმართველობის აზრის მომხრე ყოფილა. უმცირესთა შორის არიან ექ. გაბაშვილი და დ. ი. მუსხელიშვილი, რომელთაც ის აზრი გამოუთქვამთ, რომ შეღავათის მაგიერ, მარტო ჯარიმა სულ გაუქმდეს და აღარ გამოერთვათ რაისამე უბედურებით დაზარალებულს მსესხებლებსაო. ცალკე აზრისავე ყოფილა მ. ვ. მაჩაბელი, რომელსაც ის აზრი გამოუთქვამს, რომ ჯარიმაკი დარჩეს, მაგრამ ვშიშობ-კი, ვაითუ შეღავათმა, სარგებლობის მაგიერ, მსესხებლებს ვნება მოუტანოსო.

დ. ი. მუსხელიშვილი. აქ წაკითხულს ოქმში აღნიშნული არ არის ის, რაც თქმული იყო კომისიის კრებაზედ. კარგია, რომ შეღავათი მიეცეთ იმ მსესხებლებს, რომელთაც უბედურება რამ სწვევიათ, მაგრამ ბანკის მმართველობასა და ზედამხედველ კომიტეტს-კი იმ უფლებას ვერ მივცემთ, რომ თავის ნებაზედ გადასწყვიტოს ხოლმე, ეს კაცი ღირსია შეღავათისა და ის-კი—არაო. ყველასათვის სავალდებულო იყოს და ყველას მისცენ შეღავათი, ვისაც უჭირს. ეჭვი არაფრისა შემომაქვს, მაგრამ უნდა განვაცხადო-კი, რომ დიდად საშიშია ბანკის მმართველობასა და ზედამხედველს კომიტეტს ხელთ მივცეთ იარაღი თავის ნება საქციელისა. ასეთი იარაღი, მსესხებელთა საკეთილოდ-კი არა, ბანკის მმართველთა დას-დასობანის ინტერესებისათვის იქნება გამოყენებული. ეგენი თავისის სურვილისამებრ, პეტრეს მისცემენ შეღავათს და სვიმონს-კი უარს ეტყვიან. ამას გარდა, ის ხომ ვიცით, რომ ჯარიმისა წელიწადში ბანკს შემოსავალი აქვს 26,000 მან. ეს ბევრი არაფერია, რასაკვირველია, ბანკისთვის და, თუ გსურთ, მსესხებელთათვისაც, ეს რიცხვი მსესხებელთა რიცხვზედ რომ გავანაწილოთ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ჯარიმას ყველანი-კი არ იხდიან, მხოლოდ ზოგიერთნი და ესეც ისინი, რომელთაც თავის დროზედ არ შემოაქვთ.

ი. გ. ჭავჭავაძე. არ შემიძლიან აქ გულითადი მწუხარება არ გამოვაცხადო, რომ ამ საგნის გასასინჯავად სხვა სანთელი მოაქვთ და სხვა ფერსა სდებენ საგანს. რა ბრალია ის ბრალი, რომ თავისდა სასარგებლოდ გამოიყენებენ შეღავათის მიცემის უფლებასაო. თუ არ ვარგივართ, დეე ისინი, რომელნიც ჩვენა გვდებენ ბრალს, მობრძანდნენ და ჩვენს ადგილას დასხდნენ: მაშინაც იმას ვიტყვით, რასაც ეხლა ვამბობთ. გაგონილა, რომ ბანკს ვალად დააკისრონ, გინდა თუ არა, შეღავათი აძლიეთ მსესხებელსაო; გაგონილა, რომ შეღავათი უნდა მიეცეთ ყველას, ვინც შეღავათს მოითხოვსო! ადვილია სათქმელად, მაგრამ ასრულება-კი ასევე ადვილი არ არის ჩვენა გთხოვთ: უფლება მოგვეცით, რომ როცა ბანკი ღონისძიებას მოგვცემს, რაიმე უბედურებით დაზარალებულ მსესხებლებს შეღავათი აღმოვუჩინოთო, თქვენ-კი გვეუბნებით: არა, მაგისთანა უფლებას ვერ მოგცემთ, საშიშიაო. აი თუ გსურთ, ამას-კი სიამოვნებით დაგაკისრებთ და დაგავალებთ, რომ ყველა მსესხებლებს აღმოუჩინოთ შეღავათი, სულ ერთია ჩვენთვის, შეიძლებთ ამ შეღავათის აღმოჩენას, თუ ვერაო! განა გაგონილა ამისთანა ამბავი? განა საბუთი არა გვაქვს ვსთქვათ, რომ უმეცარი სიტყვაა ასეთი სიტყვაო! განა ამ თავითვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამდენის და ამდენის მსესხებელის შეღავათს შევიძლებთ? შეიძლება ისეთი წელიწადი დაგვიდგეს, რომ ბევრს მსესხებელს მივცეთ შეღავათი; ისეთი წელიწადიც დადგება, რომ ბევრის შეღავათის მიცემა ვერ შევიძლოთ. ერთი შენიშვნაც. აქ ამტკიცებენ, რომ ჯარიმის გარდახდევინება უნდა მოვსპოთო. ამასა გკითხავთ: ნუ თუ მთავრობა, რომელიც ასე ზრუნავს თავად-აზნაურთათვის, არ მოსპობდა ამ ჯარიმას, შესაძლებელი რომ იყოს? ჯარიმა, არამც თუ მოსპობილი არ არის, სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკშიაც-კია დატოვებული, ისე როგორც ყოველს სხვა ბანკში. თუ ეხლაც-კი, თუმცა 12% ჯარიმა არსებობს, ხშირად 300,000 მანათამდე სავალო შემოსატანი დროზედ არ შემოაქვთ, მაშინ რაღა იქნება, ამ ჯარიმის შიში რომ არა ჰქონდეთ? ვინ გვითავდებებს, რომ ეს რიცხვი ერთი ორად და სამად არ იმატებს? რითი უნდა გადავუხადოთ მერე ჩვენს ფულის მომნდობლებს ვალი? დაგვეხმარებიან-კი ისინი, რომელნიც ასე მამაცად ამხედრებულან ჯარიმის წინააღმდეგ?! ვინ ამბობს, სიმამაცე, ვაჟკაცობა კარგია, მაგრამ კეთილ-გონიერი ვაჟკაცობა და არა ვაჟკაცურ, უგუნურება. ტყუილადკი არ არის ნათქვამი, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისგანაო და საცა შიშია და საფრთხილებელია, იქ უნდა გავეცალოთ. არა, ბატონებო, ჯარიმა არ უნდა მოვსპოთ. თუნდა ლაგამი უწოდეთ, თუნდა მათრახი, მაგრამ მისი მოსპობა შეღავათი-კი არა, ხასიათის წახდენა იქნება, იმიტომ-რომ ვინც უპირობას გაუწევს ბანკს, იმან სასჯელიც უნდა გადიხადოს და ჯარიმა-კი სწორედ ეს სასჯელია. ვის გაუგონია, დამნაშავეს ჯილდო ვაძლიოთ დანაშაულობისათვის. ამიტომ გთხოვთ, რომ თქვენის სიკეთისა და თქვენთა შვილიშვილთა სიკეთისათვის ნუ ვიზამთ ამას! (ტაშის ცემა)

დ. ი. მუსხელიშვილი. მე ის მინდოდა მეთქვა, რომ ყოველთვის ხომ პატივცემული ი. გ. ჭავჭავაძე არ იქნება მმართველობის თავმჯდომარედ და აგრეთვე არც აწინდელი მმართველობის წევრნი დარჩებიან საუკუნოდ. შეიძლება სხვები იყვნენ...

ი. გ. ჭავჭავაძე. კარგი, მაგრამ ეს „სხვებიც“ ხომ პატიოსნები უნდა იყვნენ.

დ. ი. მუსხელიშვილი. და ამიტომ საშიშად მიმაჩნია, რომ მაგისთანა დიდი უფლება მივცეთ ხელთ ბანკის მმართველობასა და ზედამხედველს კომიტეტს. წმინდა კაცი არავინ არის ჩვენში. შეღავათი ყველას უნდა მიეცეს და არა მარტო იმათ, რომელნიც მმართველობას მოეწონებიან. მე სრულს გარდუხდელობას ჯარიმისას-კი არ ვამბობ, შემცირებასა ვხადი საჭიროდ. დასასრულ, მეც მინისტრს დავიმოწმობ ჭავჭავაძისებურად და ვიტყვი, რომ მინისტრი შესაძლებელადა ჰხედავს შეღავათი მიეცეს მსესხებლებს, შემოსატანის დაცლის გარდა, ჯარიმის რაოდენობის შემცირებითაც. მაშ მმართველობამ მარტო ერთს საშეღავათოს რად ჩასჭიდა ხელი და მეორე უყურადღებოდ რად დასტოვა?

ი. გ. ჭავჭავაძე. სესხის გასაიაფე-

---

გორც მის წინად იყო. მართლაც-და შეუძლებელი იყო სვიმონისთვის თავის სამეფოს დამოუკიდებლობის დაცვა იმ დროს, როდესაც მისი სამეფო შეადგენდა მხოლოდ ერთს მცირე კუთხეს საქართველოსას, რომელიც განაწილებული იყო სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. თითოეულის საქართველოს სამეფოსა ან სამთავროსათვის შეუძლებელი იყო ისეთის მძლავრის მტრის მოგერება, როგორნიც იყვნენ სპარსეთი და ოსმალეთი. მეფეს, რომელიც მოინდომებდა თავის სამეფოს დამოუკიდებლობის მოპოებას, პირველად უნდა იმაზედ ეფიქრნა, რომ სხვა ქართველი მეფე-მთავრები მიემხრო და მათის დახმარებით მთელის საქართველოს დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. საუბედუროდ, სვიმონ მეფეს არ შეეძლო ეთავა ამისთანა დიდი საქმე. სვიმონი იყო მხოლოდ მამაცი და გამბედავი მეომარი. წინასწარ-მოფიქრებით, აწონ-დაწონით და მოთმინებით მან არ იცოდა მოქმედება. სიძულილი მტრისა აღელვებდა და იზიდავდა პირდაპირ შურისძიებად. დაურიდებლად იცოდა მტერთან შებმა. გახდებოდა რასმე—კარგი იყო, არა-და, უკან ბრუნდებოდა იმ განზრახვით, რომ კვლავ გადაეხადა სამაგიერო. სვიმონი არ ჰზოგავდა არც თავის თავს, არც თავის ყმებს. ამაში ხელს უწყობდა ის ურიგო ჩვეულება—თრიაქის სმა, რომელსაც სპარსეთში მიეჩვია. თავხედურის გამბედაობისთვის სპარსები გიჟს სვიმონს ეძახდნენ.

ამისთანა თვისების გამო სვიმონს ვერ შეეძლო მიემხრო და შეეკავშირებინა ერთის აზრით ყველა საქართველოს მაშინდელი მეფენი და მთავრები. კახეთის მეფე ალექსანდრე, პირ-იქით, გადამტერებული იყო სვიმონზე და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, ევნო მისთვის თავ-დასხმით, თუ ყაენთან დაბეზღებით. მტრების მოსაგერებლად ალექსანდრე სულ სხვა ნაირს პოლიტიკას ადგა. მორჩილებას უცხადებდა სპარსელებსაც და ოსმალებსაც, რომ აეცილებინა მათი შემოსევა კახეთში. ამას გარდა, ალექსანდრეს საიდუმლოდ ჰქონდა მოლაპარაკება რუსეთის ხელმწიფესთან მფარველობის შესახებ და თავ-დაპირველად დიდი იმედიც ჰქონდა შემწეობისა.

იმიერ-საქართველოს სამეფო და სამთავროები სულ სხვა სურათს წარმოადგენდნენ. მეფე და მთავრები დაუცხრომელს ქიშპობასა და დავიდარაბაში იყვნენ. წვრილმანის ანგარიშებისათვის დავიწყებული ჰქონდათ უდიდესი საგანი—დამოუკიდებლობის დაცვა ოსმალთაგან, რომლებიც თავის საბრძანებლად ჰსახავდნენ მთელს იმიერ-საქართველოს. ქართლის მესამე მოსაზღვრე ქართველების სამთავრო—სამცხე—ხომ უფრო უარესს მდგომარეობაში იყო. ოსმალები, სიახლოვისა გამო, აქ უფრო ფეხ-მოკიდებულნი იყვნენ და ისე ჰყავდათ გადაბირებული თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი, რომ თვით სამცხის დიდებულები იწვევდნენ ოსმალთ თავიანთ ათაბაგების წინააღმდეგ.

სვიმონი თავის პირველს ტყვეობამდე შეურიგებელი მტერი იყო სპარსელებისა, ვიდრე ისინი და მათგან გამეფებული ძმა სვიმონისა დავით მტრობდნენ. ხოლო როცა სპარსეთიდგან დაბრუნდა და ქართლი ოსმალებმა დაიჭირეს, შეიქნა დაუცხრომელი მტერი ოსმალებისა და ერთგული მომხრე სპარსელებისა. სვიმონი სპარსეთის შაჰს ერთგულების ნიშნად უგზავნიდა ყოველს წელს შვიდ-შვიდს ტყვეს, რომელთ სასყიდლად შემოილო ახალი გადასახადი კომლზე თითო მარჩილი. სვიმონი სპარსეთის ერთგული დარჩა 1688 წლის შემდეგაც-კი, როდესაც სპარსელებსა და ოსმალებს შუა დადებულის ზავის ძალით მთელი საქართველო ოსმალეთმა დაიჩემა.

ამ ზავის შემდეგ მშვენიერი შემთხვევა ჰქონდათ ქართველს მეფეებს და მთავრებს, შეერთებულიყვნენ და გამკლავებოდნენ ოსმალეთს სრულის დამოუკიდებლობის შესაძენად. სპარსეთი ამ შემთხვევაში, თუ ხელს არ მიუწყობდა, ხომ არ დაუშლიდა თავის მოქიშპე ოსმალების ულლიდგან განთავისუფლებას. მაგრამ ვერ გამოიყენეს ქართველმა მეფე-მთავრებმა ეს კარგი დრო და შემთხვევა. სვიმონმა, პირ-იქით, ერთობისა და სიყვარულის ჩამოგდების მაგიერ, მაშინ მოინდომა იმერეთის მეფე ლევანისთვის გადაეხადა სამაგიერო იმისი, რაც ახსოვდა იმის მამის გიორგი მეფისაგან, რომელმაც ოსმალების თხოვნით გამოილაშქრა ქართლზედ. სვიმონმა გაილაშქრა იმერეთს და კიდეც დაიპყრო ეს ქვეყანა. უარესის დროს არჩევა აღარ შეიძლებოდა სვიმონ მეფისაგან იმერეთის დაპყრობისათვის. ამ დაპყრობას ამას არ უყაბულებდნენ სვიმონს მაშინ არც ოსმალები, რომელთაც მის სამეფოშივე ეჭირათ ყველა გამოჩენილი ციხეები, არც დანარჩენი ქართველი მეფე-მთავრები, რომელთაც უნდა შეშურებოდათ სვიმონის გაძლიერება. ამიტომაც სვიმონის გალაშქრებამ ამაოდ ჩაიარა და იმერეთში ისევ მალე გამეფდა უწინდელი მეფე. საქართველო ისევ დანაწილებულ-დაკნინებული დარჩა და სვიმონიც ბოლოს შეიქნა სხვერპლი თავის მოუსაზრებლობისა და მეტის-მეტად გაუფრთხილებელ, თავხედურ გამბედაობისა.

დ. კარიჭაშვილი

[30]) *Ibidem*

[31]) *H. d. Géor., t. II, l. I*, გვ. 462.

ბლად ფინანსთა მინისტრმა სააქციონერო ბანკებს მიჰმართა და ჰკითხა, არ შეგიძლიანთ, რომ $1^1/_2\%$ დაუკლოთ იმ ფულს, რომელსაც ბანკის სასარგებლოდ ახდევინებთ მსესხებლებსაო. დაუკლეს კიდეც. მინისტრმა შემდეგ ამას დასძინა, რომ ამაზედ მეტი ბანკს დაკლება რისმე აღარ შეუძლიანო (აქ ბ-ნმა ჭავჭავაძემ წაიკითხა თვით მინისტრის სიტყვები). იქნება კიდევა სთქვან ჩემზედ, რომ ტყუილად გვაშინებს მინისტრის სახელითაო. მოდი და ნუ შეგეშინდებათ, როცა ყოველიფერი იმის ხელთ არის. გირავნობის ფურცელთა ფასის მეტნაკლებობა ბირჟაზეა დამოკიდებული: თუ ფული ბევრია ბირჟაზედ, იაფია, თუ ცოტა—ძვირია. მაშასადამე, საადგილ-მამულო ბანკები ამ მხრივ ულონონი არიან. იმათ შეუძლიანთ მხოლოდ ის % შეუმცირონ, რომელსაც თავის სასარგებლოდ ახდევინებენ მსესხებლებს. თუმცა წარსულს წელს ჩვენი ოპოზიციელნი ძალიან გვაშინებდნენ და გვიწინასწარმეტყველებდნენ სრულს დაღუპვას ბანკისას, ჩვენ მაინც ეს პროცენტი ერთამდე დავაყენეთ, ესე იგი $1^1/_2$ მაგიერ $1\%$ ვახდევინებთ. ასეთმა გაიაფებამ სესხისამ კი არ დაჰღუპა ბანკი, როგორც ჰხედავთ, პირიქით, მსესხებლები შეჰმატა. წრეულს გვინდა კიდევ $^1/_4\%$ დავუკლოთ ბდარწმუნებულნი ვართ, რომ ესეც საკეთილოდ იმოქმედებს ბანკისათვის. მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ დროებით ფულის შოვნა გაგვიჭირდეს კიდეც. და აი, სწორედ იმ დროს, როდესაც გვინდა ეს $^1/_4\%$ დავუკლოთ, თქვენა გსურთ, ჯარიმის მოსპობაც კისერზედ აგვკიდოთ, ერთის სიტყვით, გინდათ ეს საქმე ერთი ორად გაგვიძნელოთ. ჩვენა გთხოვთ, რომ ჯერ ეს საქმე შეგვაძლებინეთ, ჯერ ეს საქმე მოგვატრიალებინეთ და მერე ვნახოთ, რა იქნება (ტაშის ცემაა).

გ. გაბაშვილი. მე მგონია, რომ თ. ჭავჭავაძემ საგანი იმ მხრივ არ გამოარკვია, როგორც საქმე თხოულობდა. არავინ არა თხოულობს აქა, რომ ჯარიმა სრულიად მოვსპოთო. ჩვენ მარტო შემცირებასა ვთხოულობთ ჯარიმისას.

მ. კ. მაჩაბელი. მე სრულიად ვეთანხმები თ. ი. გ. ჭავჭავაძის აზრს, თუმცა არა იმ მოსაზრებათა გამო, რომელიც მან აქ გამოსთქვა. მართალი რომ ვსთქვათ, საზოგადო შემოსატანი იმდენი შემოდის დროზედ, ესე იგი 1 იანვრისათვის, რომ სრულიად საკმარისია ბანკის ვალდებულებათა მოსაშორებლადა და დასაკმაყოფილებლად. ხოლო რადგან ამ ფულიდგან ხშირად სესხი გაიცემა ხოლმე, შეიძლება გირავნობის ფურცლების გამოსყიდვას არ ეყოს. ამიტომ ვერ დავეთანხმები, გულ-უხვობით წარმოთქმულს აზრს გ. გაბაშვილისა და დ. ი. მუსხელიშვილისას. რაც შეეხება ბოროტად მოხმარებას მმართველობის მიერ შეღავათის მიცემის უფლებისას, ამ ბოროტებას აქ ადგილი არ ექნება, თუ ადრევე შევიმუშავებთ დაწვრილებით წესებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მმართველობის წევრებმა და ზედამხედველმა კომიტეტმა შეღავათის აღმოჩენის დროს. წინააღმდეგს შემთხვევაში, როგორც ეხლაა, რომ იმ კაცს, რომელსაც სესხის უარი უთხრეს და არ მისცეს, შეუძლიან სასამართლოში იჩივლოს, მაშინაც ისე მსესხებელი, რომელსაც შეღავათის უარს ეტყვიან უსაბუთოდ, სასამართლოს მიჰმართავს, თუ სავალდებულო იქნება შეღავათი, და ამ გვარად ათასი დავიდარაბა დაგვატყდება თავს.

თ. ი. გ. ჭავჭავაძე. მ. ვ. მაჩაბელი ამბობს, რომ სასამართლოში შეუძლიან იჩივლოს იმას, ვისაც მმართველობა სესხს დაუჭერს, და ძალათი გაიტანს სესხსაო. ამ სახით, შეიძლება ფულის პატრონი თუ ფულს არ გასესხებთ, ძალათ სასამართლოთი ფული სესხად მოაცემინოთ. აქ სამართლის მცოდნენი სხედან და აბა ჰკითხეთ: განა შესაძლებელია, ფიქრს მოსატანია ასეთი საქმე! ჩვენ ქართველები ვართ და სესხად ფულის აღება ძალიან გვიყვარს. ოღონდ-კი ვინმემ რომ ჩაგვძახოს, თქვენს სურვილს სასამართლოს შემწეობით აისრულებთო, სასამართლოს კარებს აღარ მოვშორდებით. ბ-ნს მაჩაბელსა ვსთხოვ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას დარწმუნებულთ ნუ დააბრუნებს სახლში, რომ ფულის პატრონს, თუ ნებით არა, სასამართლოს შემწეობით ძალათ გამოაღებინებთ სასესხებლად ფულსაო... (სიცილია).

მ. კ. მაჩაბელი. სიცილს ადვილად გამოიწვევს ადამიანი კრებაზედ, მაგრამ ჩემი აზრი-კი არც ისე უაზროა, როგორც პირველის შეხედვითა სჩანს. ჩვენი უმაღლესი სასამართლო ბანკის წევრთა საზოგადო კრება.

ამითი დაბოლოვდა კამათი. როგორც მკითხველებმაც უწყიან, კრებამ 237 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 21-სა ბანკის მმართველობის აზრი მოიწონა. ამითი დასრულდა 17 მაისის კრება.

## ანგარიში

1891 წლის აპრილის პირველიდგან 1892 წლის აპრილის პირველამდე გამგე კომიტეტისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 107)

ბ. შემწეობა მოსწავლეთა

საანგარიშო წლის 1 აპრილიდამ 1 იანვრამდე 1892 წლისა კომიტეტი უგზავნიდა დანიშნულ სტიპენდიას, შარშანდელს ანგარიშში მოხსენებულს, ორს სტუდენტს ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტისას 250 მანათის ანგარიშზე წელიწადში. 1 იანვარს-კი მოსპო ეს შემწეობა, რადგან ხსენებულმა სტუდენტებმა ექიმობის მოწმობა მიიღეს კურსის გათავების შემდეგ და ამ ჟამად თავიანთ საქმეს ადგანან. აგრეთვე 1 სექტემბრიდამ 1891 წ. კომიტეტმა დაუნიშნა სტიპენდია თვეში 15 მან. ერთს სტუდენტს, რომელმაც ფილოლოგიური ფაკულტეტი დაასრულა და სწავლის უკეთესად დასამთავრებლად იურიდიულში გადავიდა.

გ. ქალთა კომისიის მოქმედება

შარშან ამ კომისიას მომავალის საქალებო სკოლისათვის ჰქონდა მოგროვილი 5201 მან. 60 კაპ., ამ ჟამად აქვს 6069 მან. და ერთი მომგები ბილეთი მეორე სესხისა.

ფულის ანგარიში

წარსულის საანგარიშო წლის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ პირველის მაისისათვის 1891 წ. კომიტეტსა ჰქონდა 5408 მან. 29 კაპ. სახელდობრ: ინსპექტორსა ჰქონდა 819 მ. 22 კ., სახელდახელო ანგარიშზედ კომერც. ბანკში 691 მ. 57 კ., გირავნობის ფურცლები ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისა (3700 მ.) 3697 მ. 50 კ., წინდაწინვე გადახდილია სახლის ქირა 200 მ., სულ 5408 მ. 29 კ.

პირველ მაისიდამ 1891 წ. პირველ მაისამდე 1892 წ. შემოვიდა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკიდამ 23,740 მ., პანსიონერების შესანახი ფასი 4,982 მ., გარედამ მოსიარულეთაგან სწავლის ფასი 318 მ., საწევრო ფული 6 მ., 1892 წ. იანვრის ბალიდამ 1,700 მ., სარგებელი სარგებლიან ბილეთებისა 278 მ. 35 კ., სხვა-და-სხვა 251 მ. 28 კ., სულ 31,375 მ. 63 კ., წინანდლიანად 36,783 მ. 92 კ.

ამავე დროს დახარჯულა:

1) სკოლის შესანახი:

სახლის ქირა 4,350 მ., საჭმელ-სასმელი 4,017 მ. 86 კ., ჩაცმა-დახურვა 2,032 მ. 67 კ., ბიბლიოთეკაზედ 793 მ. 41 კ., საწოლ ოთახებზედ, სამზარეულოზედ და ბუფეტზედ 592 მ. 88 კ.. ჯამაგირი მასწავლებლებს 12,4?6 მ. 50 კ., ჯამაგირი მსახურებს 1,484 მ. 04 კ., ხარჯი საავადმყოფოსი 1,008 მ. 65 კ., გათბობა და განათება 1,210 მ. 09 კ., სხვა-და-სხვა ხარჯი 1,702 მ. 32 კ., საჩუქარი მასწავლებლებს 380 მ. სულ 30,068 მ. 42 კ.

2) შემწეობა მოსწავლეთა 440 მ., სულ 30,106 მ. 42 კ.

დანახარჯს რომ გავიდეთ, პირველ მაისისათვის 1892 წ. რჩება 6,275 მ. 50 კ.

სახელდობრ:

ინსპექტორსა აქვს 1,172 მ. 65 კ., სახელდახელო ანგარიშზეა 1,029 მ. 75 კ., საადგილ-მამულო ბანკის ფურცლები (3,700) 3,697 მ. 50 კ., მათი სარგებელი 175 მ. 75 კ., წინდაწინ მიცემულია სახლის ქირა 199 მ. 85 კ.

თავმჯდომარე კომიტეტისა ლ. მაღალაშვილი

წევრნი { რ. ყაზბეგი, დ. ფავლენიშვილი, ლ. ვაჩნაძე, ი. მაჩაბელი

# რუსეთი

დეპეშები და გაზეთები იუწყებიან სამხრეთ-რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილის შესახებ, რომ წრევანდელს მოსავალს იმაზე უკეთესი პირი უჩანს, როგორსაც წინად მოელოდნენო. ხშირმა წვიმებმა ერთბაშად ააბიბინა გოლვისაგან შეწუხებული ჯეჯილები, ხალხი გაახარა და კარგის მოსავლის იმედი მისცა. მართალია, ჯერ კიდევ ადრეა მისი თქმა, თუ როგორი მოსავალი იქნება, რადგან შეიძლება მკამდე სხვა უბედურებარამ დაატყდეს ყანებსა, ხოლო შარშანდელისთანა უბედურების განმეორება ყოვლად შეუძლებელია.

მაგრამ, რაც უნდა კარგს იმედს იძლეოდეს წრევანდელი მოსავალი, რუსეთმა მაინც არ უნდა დაივიწყოს შარშანდელთ უბედურება. ასეთი ამბები ძლიერ დიდს გავლენას იქონიებს ხოლმე ხალხისა და სახელმწიფოს საეკონომიო ვითარებაზედ. თუ შარშან მოუსავლობისა გამო 40 მილიონი კაცი დაიმშა, შემდეგში რომ კიდევ გამეორდეს ასეთი ამბავი, მაშინ უმეტესნი დაიმშევიან, რადგან ხალხი, რასაკვირველია, უფრო გამრავლდება. აი ამის გამო რუსეთმა კარგის მოსავლის იმედით თავი უზრუნველობას არ უნდა მისცეს და ამ თავითვე უნდა იფიქროს მიწად-მოქმედების განკარგებისათვის როგორც შავის მიწის მხარეს, ისე სხვაგანაც, ე. ი. სამრეწველო გუბერნიებში. რაც ამ გუბერნიებში საქარხნო მრეწველობა გაძლიერდა, მას შემდეგ ხვნა-თესვა ძლიერ შემცირდა. მრავალი ხალხი ქარხნებს მიაწყდა და ხვნა-თესვას თავი დაანება. ამის გამო 9 სამრეწველო გუბერნიაში წარსულ საუკუნედგან დაწყებული ამ საუკუნეს მე-70 წლებამდე ხვნა-თესვა შემცირდა, 13.164,000 დესეტინას მაგიერ 10.486,000-ღა იხვნება. ამ სახით, სახნავ-სათესს $20\%$ დაჰკლებია საერთოდ, ხოლო მარტო მოსკოვის გუბერნიაში ხვნა-თესვამ $24\%$-ით იკლო. ასეთი შემცირება ხვნა-თესვისა საჭირო გარემოების შედეგი არ არის. თუმცა მუშა ხალხი, მართალია, ქარხნებს მიაწყდა, მაგრამ აქედგან ის დასკვნა არ გამოდის, რომ ხვნა-თესვაც უნდა შემცირებულიყო. თუ მამულები დარჩა, სხვა გლეხებს უნდა შეემუშავებინათ. ხვნა-თესვა მარტო ძველს დონეზედაც რომ დადგეს ამ ჟამად, ისიც კარგი საქმე იქნებოდა რუსეთის მეურნეობისათვის, მაგრამ განა უმეტესად გაძლიერება-კი არ შეიძლება? რომ გაძლიერებასთან ერთად ყურადღება მიექცეს მიწად-მოქმედების წესის განკარგებასაც და ისე განკარგდეს, როგორც იმიერ ბალტიის მხარეშია, მაშინ რუსეთს მრავალი სათადარიგო ჭირნახული ექნებოდა ხელში. ოფიციალურ ცნობათაგან სჩანს, რომ ბალტიის მხარეში უფრო უკეთესი მოსავალი იცის, ვიდრე სამხრეთს-რუსეთში, სადაც შავი მიწაა. მაგალითად, ამ 8 წლის განმავლობაში საშუალო მოსავალი ყოფილა ბალტიის მხარეს პურისა 5,4, შავის პურისა—5,6, შვრიისა—4,4 და სხვა ჭირნახულისა საერთოდ 5,0; ხოლო სამხრეთს-რუსეთში, სადაც შავი მიწაა, პურისა—3,6, შავის პურისა—4,5, შვრიისა—3,7 და სხვა ჭირნახულისა საერთოდ—3,8. ბალტიის მხრის ნიადაგი სრულიადაც ნაყოფიერი არ არის სამხრეთ-რუსეთის ნიადაგზედ და მაშასადამე იქ შესაძლებელი ყოფილა უმეტესი განკარგებაც-კი მიწად-მოქმედებისა.

# უცხოეთი

**იტალია.** იტალიის მინისტრ-პრეზიდენტმა ჯიოლიტიმ ასე განმარტა პროგრამა კაბინეტისა 14 მაისის კრების დროს. ჩვენ უმთავრესად იმას გვისაყვედურებენ, რომ პროგრამა გამოურკვეველი გაქვთო, მაგრამ ეს საყვედური უსაფუძლოა.

ჩვენ განვაცხადეთ, რომ საჭიროდ მიგვაჩნია, რათა ძირითადი ცვლილება მოხდეს სახელმწიფოს მთელს მმართველობის საქმეში, აიწიოს სახელმწიფო კრედიტი და ჯარსაც სხვა წესი და რიგი მიეცესო. ნუ თუ ეს საკმარისი არ არის? შეიძლებოდა მრავალს რასმე დავპირებოდით, მაგრამ იტალიის ერს სიტყვა-კი არ ეჭირვება, არამედ საქმე. ჩვენა გვსურს, რომ საქმით გვიცნოთ და გაგვსინჯოთ და არა სიტყვების მიხედვით.

სრულიად საჭირო არ არის, რომ სიტყვა გავაბათ ჩვენის პროგრამის შესახებ. ვინც ჩვენი წარსული მოღვაწეობა იცის, ჩვენი პროგრამაც ეცოდინება. 1885 წლიდგან მოკიდებული აქამდე იმ საფინანსო სისტემას ვებრძვით, რომელმაც ასეთს გაჭირვებაში ჩაგვაგდო. როცა მე სახელმწიფო ხაზინის მინისტრად ვიყავი, 21 თვის განმავლობაში 65 მილიონის ფრანკის ყაირათი გავწიე და შევინახე.

ჩვეულებრივი ხარჯი სამხედრო უწყებისა ჩვენ 230 მილიონი აღვნიშნეთ, ხოლო მოულოდნელი ხარჯი—16 მილიონი ფრანკი. ამ ფულში ისიც ნაანგარიშევია, რაც ახალ ყაიდის თოფებზე დაიხარჯება, რათა ჩვენი ჯარი იარაღით უკან არ ჩამორჩეს სხვა სახელმწიფოების ჯარებს.

ჯარის კორპუსების შემცირება უფრო სატეხნიკო საქმეა, ვიდრე საფინანსო: თუ 12 კორპუსის მაგიერ ათი ვიყოლიეთ, მაშინ თითოეულს კორპუსში უფრო მეტი ჯარი იქნება და ამის გამო იმ 10 კორპუსს ხარჯი თითქმის იგივე დასჭირდება, რაც წინად 12 კორპუსსა სჭირდებოდა.

სულ სხვა საქმე იქნებოდა, რომ ჯარის რაოდენობა შეგვემცირებინა, მაგრამ ვინც ამას მოითხოვს, იმას სწორედ ჯარის გაუქმება ესურვება და სხვა არაფერი.

ამასთანავე, ვიდრე იტალია უზრუნველ არა ჰყოფს თავისს დამოუკიდებლობასა, მანამდე ვერ ისარგებლებს პირველ-ხარისხოვანის კრედიტით. ამას გარდა, 30 მილიონით რომ შევამციროთ სამხედრო ბიუჯეტი, ამითი დიდს ცვლილებას ვერ მოვახდენთ ჩვენს საფინანსო ვითარებაში. დეფიციტი 485 მილიონამდეა; ეხლა-კი იგი არ აღემატება 60 მილიონს. საშიშია, რომ ჯარის საქმე ავწეწოთ და ეს დეფიციტი 30 მილიონზე დავაყენოთ.

ეხლა იტალიის ბიუჯეტი ერთიათად გაუკეთესდა. მაშ რა ნება გვაქვს ვიფიქროთ, ვითომ იტალიის ერს ძალა არ მოეპოვებოდეს საცხოვრებლად. შესაძლებელია, რომ სახელმწიფო მმართველობაში ცვლილებანი მოვახდინოთ და ყაირათი გავწიოთ.

მაინც-კი ჩვენის მხრით დიდი გაუფრთხილებლობა იქნება, რომ დაგპირდეთ, ახალს გარდასახადს აღარას დავაწესებთ და აღარ შემოვიღებთო. მთავრობა ყოველის ღონისძიებით ეცდება, არ მოუმატოს გარდასახადები, მაგრამ ფორმალურად-კი ვერ დაგიდებთ ამის პირობას ჯარის დასაღუპად.

ბ-ნნი იმბრიანი და კავალოტტი ამბობენ, სამთა კავშირს თავი დაანებეთო. ეს ყოვლად შეუძლებელია. ჩვენმა სამინისტრომ წინა სამინისტროების კვალს უნდა მისდიოს. სწორედ ამ სახითვე ჩვენმა მოადგილეებმაც უნდა დაიცვან ჩვენ მიერ დადებული პირობანი. თუ იტალიამ უარი სთქვა თავისს პირობაზედ, მაშინ ყველანი ზიზღით შემოგვხედავენ და განათლებულ ერთა შორის ალაგი აღარ გვექნება.

ჩვენ ყველანი ერთს საგანს ვეძებთ: ბიუჯეტი უნდა ვავასწოროთ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ ვის ჩვენგანს რა ღონისძიება მიაჩნია უკეთესად

ამ საგნის მისაღწევად. იტალიის აწინდელი საადმინისტრაციო წეს-წყობილება უხერხულად მიგვაჩნია, რადგან ძლიერ ძვირად გვიჯდება. ცვლილების მოხდენა სასურველი და საჭიროა, თუნდა ჩვენი ფინანსები უკეთესს მდგომარეობაშიაც იყოს. ამასთანავე საჭიროა აგრეთვე საზოგადოებრივი ცვლილებანიც, რომელთაც კავშირი აქვთ საადმინისტრაციო ცვლილებასთან. წინა სამინისტრო ნდობას ითხოვდა, ხოლო ჩვენ ვენდობით მხნეობას პარლამენტისას და ვიმედოვნებთ, რომ საქმის მიხედვით დაგვაფასებენ და არა ცალიერის სიტყვით დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი პროგრამა დააკმაყოფილებს საჭიროებას იტალიის ერისას და მის წარმომადგენელთა სურვილს.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

გიგზავნით 42 მან. და 52 კაპ. დიმ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ და გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი სია შემომწირველთა:

გიორგი ივანეს ძე ამილახვარმა 1 მ., სვიმონ დიმიტრის ძე წერეთელმა 1 მ., ბაჩია (დავით) ბარათაშვილმა 1 მ., ეკატერინე გიორგის ასულმა ერისთავისამ 3 მ., კონსტანტინე ვასილის ძე კალატოზიშვილმა 3 მან., გიორგი ოთარის ძემ ამილახვარმა 3 მ., კნ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ავალოვმა 1 მ., № 1 მან., სიმონ კონსტანტინეს ძე ერისთავმა 1 მ., კნეინა ალექსანდრა ერისთავისამ 2 მ., ს. გულიშამბაროვმა 1 მ., ზაქარია ალექსის ძე დავითაშვილმა 1 მ., კონსტანტინე ივანეს ძე სამთლიკუძლოვმა 52 კ., თ. დავით ამილახვარმა 1 მ., გიორგი მიხეილის ძე სეგამონოვმა 1 მ., სარდიონ სვიმონის ძე ამირეჯიბმა 1 მ., თ. იოსებ ამირეჯიბმა 1 მ., ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამირეჯიბმა 1 მ., თ. აბესალომ მაჩაბელმა 1 მ., № 1 მ., დ. მუსხელოვმა 3 მ., ზაზა ყიფიანმა 1 მ., პ. ჩაჩიკოვმა 1 მ., კაპიტანმა ჩარექოვმა 1 მ., იულია მელქისედეკის ასულმა კალატოზოვისამ 3 მ., ყარამან არეშიძემ 3 მ., ვანო მ. 1 მ., ალექსანდრე ლევანის ძე აღნიაშვილმა 2 მან., სულ 42 მ. 52 კ.

გ. ო. ამილახვარი

## დეპეშა

26 მაისი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** გამოცხადებულ იქმნა დადგენილება „რუსეთ-კავკასიის სანავთო საზოგადოების“ წესდების დამტკიცების შესახებ. დამაარსებელნი არიან: რიგელი ვაჭარი მაქს ალბრეტი, რომელიც შემდეგის ფირმით ვაჭრობს—„ა. ელრიხი“ და ამხანაგობა და სავაჭრო სახლი „ძმანი კამარინები“.

„Новое Время“ იუწყება, პროექტს ადგენენ მოვახშეთა სადევნად ლონისძიებისასაო.

**ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ.** ხელმწიფე იმპერატორი და მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს საღამოს 9 საათსა და 20 წუთზედ კილს გაემგზავრნენ.

**ᲙᲘᲚᲘ.** იმპერატორი ვილჰელმი მობრძანდა აქ საღამოს $7^{3}/_{4}$ საათზედ. ოფიციალურად არ მიჰგებებიან, მაგრამ რკინის გზის სადგურზედ დაჰხვდნენ: პრინცი ჰენრიხი, ადმირალები და ბურგომისტრი. იმპერატორს მრავალი ხალხი აძლევდა სალამს. შემდეგ იმპერატორი წაბრძანდა ციხის სასახლეში, სადაც პრინც ჰენრიხის მეუღლე მიეგება. იქ კარგა ხანი დაჰყო იმპერატორმა და შემდეგ წაბრძანდა გემს «Hohenzollern»-ზე.დ იმპერატორის ამალაში სტატს-სეკრეტარი მარშალიც ურევია. დღეს საღამოს მოვიდა აგრეთვე გრაფი შუვალოვი.

27 მაისი

**ᲜᲐᲜᲡᲘ.** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მობრძანდა აქ მოულოდნელად და ინკოგნიტოდ საღამოს 4 საათზედ. პოლკოვნიკს შამუანს უკანასკნელს დროს შეატყობინეს დიდი მთავარი მობრძანდაო, და რკინის გზის სადგურზედ უცდიდა მათს მობრძანებას მრავალის სტუდენტითურთ. სტუდენტები მიესალმნენ მისს უმაღლესობას და ყვიროდნენ: „გაუმარჯოს რუსეთსაო!“ თავადი წაბრძანდა პრეფექტურაში, სადაც შემდეგ პრეზიდენტი კარნოც მიბრძანდა. მათი ბაასი გაგრძელდა 10 წუთს. შემდეგ დიდი მთავარი უკანვე წაბრძანდა კონტრაკვილში.

**ᲙᲘᲚᲘ.** დღეს დილის $10^{1}/_{2}$ საათზედ ნავთსადგურში შემოვიდა გემი: „Hohenzollern“-ი, „Полярная Звѣзда“, „Царевна“, „Адмиралъ Корниловъ“-ი. გერმანიის იმპერატორი გემით მიეგება რუსეთის იმპერატორსა და ცესარევიჩს ფრიდრიხსარტთან.

**ᲙᲘᲚᲘ.** ხელმწიფე იმპერატორი $10^{3}/_{4}$ საათზე გაემგზავრა გემს Hohenzvllerk-ზე იმპერატორ ვილჰელმისთან და დაჰყო იქ 20 წუთი $11^{1}/_{4}$ საათზე იმპერატორი ვილჰელმი დარბაზად ბრძანდებოდა ხელმწიფე იმპერატორთან გემს „Полярная Звѣзда“-ზე. მეფენი ერთმანეთს რავდენჯერმე გადაეხვივნენ. საღამოზე საუზმე გაიმართა ციხის დარბაზში, რომელსაც ორივე იმპერატორი დაესწრნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 26 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,58 | 7,58 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $151^{1}/_{4}$ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $241^{1}/_{2}$ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 193 | $193^{1}/_{2}$ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | $101^{1}/_{2}$ |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | $99^{1}/_{2}$ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | $101^{1}/_{2}$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | $99^{1}/_{2}$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $89^{1}/_{2}$ |

## ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გან ადისაითს.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


იმლევა ქირით

**Ს Ა Რ Დ Ა Ფ Ი.**

ავჭალის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

**ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲡᲐᲠᲞᲘᲜᲙᲔᲑᲘᲡᲐ**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი აღაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—20)

**ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲡᲐᲡᲢᲐᲛᲑᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲖᲔᲓ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ.**



ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

**„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . 8 ,, —,, | | 3 ,, . . . 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორრესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.